საიდ. №78049/03

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა №149-03/14

საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნულ ცენტრ ,,საქპატენტთან" არსებული სააპელაციო პალატის კოლეგიამ შემდეგი შემადგენლობით: მ. ფრუიძე (თავმჯდომარე), ლ. ახობაძე, ი. მუღალაშვილი, ,,საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" 199-ე მუხლის პირველი ნაწილის ,,ბ" პუნქტისა და 2014 წლის 3 ოქტომბრის Nა-259 სააპელაციო საჩივრის საფუძველზე, ზეპირი მოსმენის გაუმართავად, განიხილა შპს ,,SAYALI" (მის.:ვარკეთილი 3, 1 მრ, კორპ 18, ბ 97, თბილისი) სააპელაციო საჩივარი (საიდ. №149-03/14), რომლითაც მოითხოვება ,,სასაქონლო ნიშნის დაჩქარებული წესით რეგისტრაციაზე უარის თქმის შესახებ" სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის ,,საქპატენტის" სასაქონლო ნიშნებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების დეპარტამენტის უფროსის 2014 წლის 26 აგვისტოს N1052/03 ბრძანების ბათილად ცნობა და სასაქონლო ნიშნის ,,American Hospital Tbilisi" (საიდ. N78049/03) რეგისტრაცია მომსახურების სრული განცხადებული ჩამონათვალის მიმართ (44-ე კლასი).

სააპელაციო პალატის კოლეგიამ განიხილა სააპელაციო საჩივარი, ექსპერტიზის მასალები, წარმოდგენილი დოკუმენტები

გამოარკვია:

,,სასაქონლო ნიშნის დაჩქარებული წესით რეგისტრაციაზე უარის თქმის შესახებ“ სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის ,,საქპატენტის” სასაქონლო ნიშნებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების დეპარტამენტის უფროსის 2014 წლის 26 აგვისტოს N1052/03 ბრძანებაზე თანდართული ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, სასაქონლო ნიშანს ,,American Hospital Tbilisi“ უარი ერთქვა რეგისტრაციაზე, ვინაიდან, წარმოდგენილი სასაქონლო ნიშნის განმცხადებელი არის საქართველოში რეგისტრირებული იურიდიული პირი, ხოლო სასაქონლო ნიშნანში შემავალი სიტყვიერი ელემენტები - ,,American Hospital“ ინგლისურიდან ქართულად ითარგმნება, როგორც „ამერიკული საავადმყოფო“. სიტყვიერმა ელემენტმა „American“, შესაძლებელია მომხმარებელს შეუქმნას მცდარი წარმოდგენა მომსახურების გამწევის გეოგრაფიული ადგილის შესახებ, ვინაიდან ისინი პირდაპირ მიუთითებენ მომსახურების გამწევის წარმოშობის ქვეყანაზე. ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, სასაქონლო ნიშნის აღნიშნული ფორმით გამოყენება, გამოიწვევს მომხმარებლის შეცდომაში შეყვანას, მომსახურების გამწევი კომპანიის მიმართ. მომხმარებელი ჩათვლის, რომ განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი მომსახურება, კერძოდ „სამედიცინო მომსახურება; ვეტერინარული მომსახურება; მომსახურება ცხოველებისა და ადამიანების ჰიგიენისა და კოსმეტიკის სფეროში; მომსახურება სოფლის მეურნეობის, მებაღჩეობისა და მეტყევეობის სფეროში“, მას გაეწევა ამერიკული კომპანიის მიერ. რაც შეეხება სასაქონლო ნიშნის სიტყვიერ ელემენტს - „hospital“, ის ქართულად ითარგმნება როგორც „საავადმყოფო“. იქიდან გამომდინარე, რომ სასაქონლო ნიშნის რეგისტრაცია მოითხოვება 44-ე კლასის მომსახურების ჩამონათვალისთვის, რომელიც პირდაპირ მოიცავს სამედიცინო მომსახურებას. შესაბამისად, სასაქონლო ნიშნის სიტყვიერი ელემენტი - „საავადმყოფო“ არაგანმასხვავებელუნარიანია აღნიშნული კლასის

მომსახურების მიმართ, რადგან იგი პირდაპირ მიუთითებს შემოთავაზებული მომსახურების ტიპზე. სასაქონლო ნიშანი არ შეიცავს არც ერთ ისეთ ელემენტს, რომელიც განცხადებულ სასაქონლო ნიშანს - ,,American Hospital Tbilisi", შესძენს განმასხვავებელუნარიანობას.

რაც შეეხება სასაქონლო ნიშანს მთლიანობაში - ,,American Hospital Tbilisi" , იგი აღწერილობითია იმ მომსახურების მიმართ, რომლისთვისაც მოითხოვება მისი დაცვა. სასაქონლო ნიშანი ითვლება აღწერილობითად მაშინ, როდესაც იგი შედგება საქონლის/მომსახურების მხოლოდ სახეობის, ხარისხის, რაოდენობის, თვისების, ღირებულების, დანიშნულების, გეოგრაფიული წარმოშობის, გასაღების ადგილის, დროის ან საქონლის სხვა მახასიათებლისგან ან/და მიჩნეულია ასეთად. მოცემულ შემთხვევაში, განცხადებული სასაქონლო ნიშანი შედგება მხოლოდ მომსახურების გეოგრაფიული წარმოშობის - „American" და მომსახურების სახეობისგან „hospital" აღმნიშვნელი ელემენტებისაგან. ნიშნის სიტყვიერი ელემენტებიდან ჩანს, რომ ამერიკული კომპანია ახორციელებს სამედიცინო მომსახურებას.

სასაქონლო ნიშანში შემავალი სიტყვიერი ელემენტი „Tbilisi" არის გეოგრაფიულ აღნიშვნა, რომელიც, „სასაქონლო ნიშნების შესახებ" საქართველოს კანონის მე-4 მუხლის „ი" ქვეპუნქტის თანახმად, დამოუკიდებელ სამართლებრივ დაცვას არ ექვემდებარება.

ყოველი ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, განცხადებულ სასაქონლო ნიშანს ,,American Hospital Tbilisi" (საიდ. N78049/03), ,,სასაქონლო ნიშნების შესახებ" საქართველოს კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის ,,თ", „გ" და „დ" ქვეპუნქტის საფუძველზე, უარი ეთქვა რეგისტრაციაზე.

აპელანტი არ ეთანხმება ექსპერტიზის გადაწყვეტილებას და სააპელაციო საჩივარში აღნიშნავს, რომ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსთან 2011 წლის 26 ნოემბერს გაფორმებული ხელშეკრულებისა და ამავე სამინისტროსთან დამატებითი ხელშეკრულებების თანახმად, შპს „SAYALI"-მ აიღო, თბილისში, უ. ჩხეიძის ქ. N17-ში და დ. უზნაძის ქ. N58 მიწის ნაკვეთებზე,

საერთაშორისო სტანდარტების მრავალფუნქციური კლინიკის ამოქმედების ვალდებულება. 2014 წლის 4 მარტს გაფორმდა ხელშეკრულება „American Hospital Management Company”-სთან. ხელშეკრულების თანახმად, აღნიშნული კომპანია, განახორციელებს მომავალი მრავალფუნქციური კლინიკის მართვას. კლინიკა დაკომპლექტდება აშშ-ში გადამზადებული საექიმო პერსონალით, აშშ-დან მოწვეული სპეციალისტებით. აღნიშნულის გარდა, კლინიკის თანადაფინანსებაში მონაწილეობას მიიღებს ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო საინვესტიციო კორპორაცია „OPIC” (Overseas Private Investment Corporation – www.opic.gov). აღნიშნულ პროექტში აშშ-ს მთავრობის მონაწილეობის პირობას წარმოადგენდა მომავალი კლინიკის მართვაში მენეჯერული კომპანია „American Hospital“ -ის მოწვევა.

ამრიგად, დასახელება „American Hospital Tbilisi” გამოხატავს იმ რეალობას და გეოგრაფიულ ადგილმდებარეობას, სადაც მოქალაქეები, განურჩევლად მათი ეროვნებისა და წარმომავლობის ქვეყნისა, მიიღებენ მომსახურებას ამერიკული სტანდარტით, რაც გამორიცხავს მათ შეცდომაში შეყვანას. მიუხედავად იმისა, რომ დასახელება „American“, მთლიანად კონტინენტის აღმნიშვნელია, ნაკლებ სავარაუდოა, რომ მომხმარებელი, რომლისთვისაც სიტყვა ამერიკა, ასოცირდება პირველ რიგში აშშ-თან, ვერ მიხვდეს, რომ მომსახურეობა გაწეული იქნება აშშ სტანდარტების მიხედვით და დონეზე, მითუმეტეს აშშ მენეჯერული კომპანია „American Hospital“ ცნობილია, როგორც სამედიცინო წრეებში ასევე მოქალაქეებში.

აპელანტი ასევე აღნიშნავს, მიუხედავად იმისა, რომ განცხადებული სასაქონლო ნიშნის ორი სიტყვა ,,American“ და ,,Tbilisi“, არ წარმოადგენენ სამართლებრივად დაცვის საგანს, სიტყვათა კომბინაცია „American Hospital Tbilisi” განმასხვავებელუნარიანია, მითუმეტეს, როგორც თავად ექსპერტიზის დასკვნაშია მითითებული, არ არის რეგისტრირებული სასაქონლო ნიშნების რეესტრში. შესაბამისად, განცხადებული სასაქონლო ნიშნის დანაწევრება და ასეთი ფორმით შეფასება, დაუსაბუთებელია. მოცემულ შემთხვევაში, აღნიშნულ სიტყვათა

კომბინაცია, მითუმეტეს საქართველოს პირობებში, იძენს ინდივიდუალურობას და შესაძლებელი უნდა იყოს აღნიშნული სასაქონლო ნიშნის დაცვა, წინააღმდეგ შემთხვევაში, აპელანტის აზრით, შერჩეული იქნება ისეთი დასახელება (სასაქონლო ნიშანი), რომელიც ნაკლები სიზუსტით გამოხატავს იმ მომსახურებას, რისთვისაც მოითხოვება სასაქონლო ნიშნის დაცვა.

აპელანტი, არ ეთანხმება ასევე, ექსპერტიზის გადაწყვეტილებას იმ ნაწილში, სადაც აღნიშნულია, რომ სასაქონლო ნიშანი მომხმარებელში გამოიწვევს ასოციაციას, რომ თითქოს, ამერიკული კომპანია ახორციელებს სამედიცინო მომსახურეობას. აპელანტი განმარტავს, რომ მიუხედავად იმისა, რომ სასაქონლო ნიშნის რეგისტრაცია მოითხოვება ქართული შპს-ს მიერ განცხადებული სასაქონლო ნიშნით, მომსახურებას სწორედაც ამერიკული კომპანია გასწევს, შესაბამისად, არ არსებობს მომხმარებლის შეცდომაში შეყვანის საშიშროება.

აპელანტი კომპანია ასევე აღნიშნავს, რომ ექსპერტიზის დასკვნაში არ იქნა გათვალისწინებული, ის გარემოება, რომ კულტურის სამინისტროდან მიღებული იქნა ნებართვა დასახელება „თბილისი“ -ს დაუცველი სახით გამოყენების შესახებ.

აპელანტი არ ეთანხმება ექსპერტიზის დასკვნას იმ ნაწილშიც, სადაც საუბარია ,,სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის „ი“ ქვეპუნქტზე, ვინაიდან, აპელანტის მტკიცებით, განცხადებული სასაქონლო ნიშანი, არ ემთხვევა რომელიმე ქვეყნის სახელმწიფო გერბს და ა.შ. რაც შეეხება განცხადებული სასაქონლო ნიშნის სიტყვიერ ელემენტს ,,თბილისი“, აპელანტმა წარმოადგინა კულტურის სამინისტროს ნებართვა, აღნიშნული დასახელების დაუცველი სახით გამოყენების შესახებ.

აპელანტის მტკიცებით, დაუსაბუთებელია ასევე განცხადებული სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციაზე უარი ,,სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის „თ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, ვინაიდან, აპელანტის მტკიცებით, განცხადებული სასაქონლო ნიშანი, მომხმარებელს არ უქმნის მცდარ წარმოდგენას მომსახურეობის ხარისხისა და გეოგრაფიული მახასიათებლების მიმართ.

აპელანტის აზრით, დაუსაბუთებელია ასევე განცხადებული სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციაზე უარი ,,სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის „გ“ ქვეპუნქტის საფუძველზე. ექსპერტიზის დასკვნაში აღნიშნულია, რომ განცხადებული სასაქონლო ნიშანი არაგანმასხვავებელუნარიანია იმ მომსახურებისათვის, რომლისთვისაც მოითხოვება სასაქონლო ნიშნის დაცვა, რასაც აპელანტი კატეგორიულად არ ეთანხმება. აპელანტი სადავოდ ხდის ასევე სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციაზე უარს ,,სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის „დ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, ვინაიდან, მიაჩნია, რომ განცხადებული სასაქონლო ნიშანი შეიცავს არა მხოლოდ მომსახურეობის გაწევის ადგილს , სახეობას და ხარისხს, არამედ, ასევე გააჩნია ინდივიდუალური განმასხვავებელი ნიშანიც „Hospital“, რომელიც არსობრივი ექსპერტიზის დასკვნაში მიჩნეულია მხოლოდ მომსახურების სახეობის აღმნიშვნელ ტერმინად, რაც დაუსაბუთებელია, ვინაიდან საქართველოში სამედიცინო მომსახურეობის აღსანიშნავად ოფიციალურ თუ არაოფიციალურ დონეზე ძირითადად გამოყენებულია ტერმინი, სამედიცინო ან ჯანდაცვა, შესაბამისად ტერმინი „Hospital“ ინდივიდუალური ნიშანია.

გარდა ამისა, 2014 წლის 31 ოქტომბრის N-291 წერილით, აპელანტმა წარმოადგინა „American Hospital Management Company”-ის პრეზიდენტის რენდალ დ. არლეტის წერილის ასლი თარგმანთან ერთად, რომელიც ეხება დაგეგმილი საავადმყოფოს სამოქმედო გეგმისა და მიმდინარე მშენებლობის პროცესის აღწერას.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, აპელანტი ითხოვს ბათილად იქნას ცნობილი ,,სასაქონლო ნიშნის დაჩქარებული წესით რეგისტრაციაზე უარის თქმის შესახებ“ სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის ,,საქპატენტის” სასაქონლო ნიშნებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების დეპარტამენტის უფროსის 2014 წლის 26 აგვისტოს N1052/03 ბრძანება და სასაქონლო ნიშანი ,,American Hospital Tbilisi“ (საიდ. N78049/03) დარეგისტრირდეს მომსახურების სრული განცხადებული ჩამონათვალის მიმართ.

სააპელაციო პალატის კოლეგიამ განიხილა ექსპერტიზის დასკვნა, საქმეში არსებული მასალები და მიიჩნია, რომ სააპელაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგი გარემოებების გამო:

განცხადებული სასაქონლო ნიშანი ,,American Hospital Tbilisi" (საიდ. N78049/03), შედგება სამი სიტყვიერი ელემენტისგან. სიტყვიერი ელემენტები ,,American" და ,,Tbilisi", გეოგრაფიული სახელწოდებებია და ,,სასაქონლო ნიშნების შესახებ" საქართველოს კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის ,,ი" ქვეპუნქტის შესაბამისად, დამოუკიდებელ სამართლებრივ დაცვას არ ექვემდებარება. სიტყვიერ ელემენტზე ,,Tbilisi", აპელანტის მიერ წარმოდგენილი საქართველოს კულტურის სამინისტროს თანხმობის წერილის არსებობა, ადასტურებს მხოლოდ აღნიშნული ელემენტის სასაქონლო ნიშანში დაუცველი ნაწილის სახით ჩართვის უფლებას, როგორც განმცხადებლის, ასევე ნებისმიერი სხვა პირის მიერ. რაც შეეხება სიტყვიერ ელემენტს ,,American", მიუხედავად იმისა, რომ აპელანტის მიერ წარმოდგენილი მასალებით იკვეთება, რომ ,,ამერიკულ ჰოსპიტალში" მომხმარებლებს მომსახურებას გაუწევენ ამერიკული სტანდარტებით და მედ-პერსონალი გადამზადებული იქნება ასევე აშშ-ში, სიტყვიერი ელემენტი, ,,American", ისევე როგორც -,,Tbilisi", არის გეოგრაფიული სახელწოდება, და ემთხვევა ამერიკის შეერთებული შტატების ე.წ. შემოკლებულ სახელწოდებას, შესაბამისად, ვერც მას მიენიჭება დამოუკიდებელი სამართლებრივი დაცვა. განცხადებულ სასაქონლო ნიშანში მესამე სიტყვიერი ელმენტი არის ,,Hospital", რომელიც ქართულად ითარგმნება როგორც - საავადმყოფო. აღნიშნული სიტყვიერი ელემენტი პირდაპირ აღწერს 44-ე კლასის იმ მომსახურებას, რომლისთვისაც მოითხოვება განცხადებული სასაქონლო ნიშნის ,,American Hospital Tbilisi" (საიდ. N78049/03) რეგისტრაცია, ვინაიდან იქ ხორციელდება სამედიცინო მომსახურება, შესაბამისად, იმ მომსახურებისათვის, რომლისთვისაც მოითხოვება განცხადებული სასაქონლო ნიშნის რეგისტრაცია, ტერმინი ,,საავადმყოფო" აღწერილობითია.

შესაბამისად, ,,სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის ,,დ“ და ,,ი“ ქვეპუნქტების საფუძველზე, არსებობს სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციაზე უარის თქმის აბსოლუტური საფუძველი.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, სააპელაციო პალატის კოლეგიას მიაჩნია, რომ განცხადებულ სასაქონლო ნიშანში ,,American Hospital Tbilisi“ (საიდ. N78049/03) შემავალი სამივე სიტყვიერი ელემენტი არადაცვისუნარიანია, ტერმინები ,,American“ და ,,Tbilisi“ ნიშანში შესაძლებელია შევიდეს მხოლოდ დაუცველი ნაწილის სახით, ხოლო ,,Hospital“, აღწერილობითია იმ მომსახურებისათვის, რომლისთვისაც მოითხოვება მისი დაცვა. შესაბამისად, ,,სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის ,,დ“ და ,,ი“ ქვეპუნქტების საფუძველზე, არსებობს სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციაზე უარის თქმის აბსოლუტური საფუძველი.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო პალატის კოლეგიამ იხელმძღვანელა ,,სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-16 მუხლით, სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის – ,,საქპატენტის“ თავმჯდომარის 2011 წლის 18 მარტის N02 ბრძანებით დამტკიცებული საქპატენტთან არსებული სააპელაციო პალატის დებულების მე-15 მუხლის პირველი პუნქტის ,,გ” ქვეპუნქტით და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

1. შპს „SAYALI“-ის სააპელაციო საჩივარი (საიდ. №149-03/14) არ დაკმაყოფილდეს.

2. ძალაში დარჩეს ,,სასაქონლო ნიშნის დაჩქარებული წესით რეგისტრაციაზე უარის თქმის შესახებ“ სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების

ეროვნული ცენტრის ,,საქპატენტის” სასაქონლო ნიშნებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების დეპარტამენტის უფროსის 2014 წლის 26 აგვისტოს N1052/03 ბრძანება.

3. წინამდებარე გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს მცხეთის რაიონული სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. მცხეთა, სამხედროს ქ. №17) გადაწყვეტილების გაცნობის/ჩაბარების დღიდან ერთი თვის ვადაში.

კოლეგიის თავმჯდომარე: მ. ფრუიძე

წევრები: ლ.ახობაძე

ი.მუღალაშვილი